

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N52

ქ.თბილისი

28 თებერვალი, 2025 წელი  
15<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

შალვა ოგბაიძე

ლევან არველაძე

ვიტალი ონიანი

მარიამ გელაშვილი

გურამ ოქროპირიძე

ოთარ გრიგოლია

ნინო რუხაძე

ლევან დავითაშვილი

რევაზ სოხაძე

ნინო ვარდოსანიძე

თამარ ჩახვაშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

გივი ჩხარტიშვილი

ნიკოლოზ კახეთელიძე

ავთანდილ ცინცაძე

ანა კილაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ლევან ჯაფარიძე

ნათია მოდებაძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭილაძე;  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან მამალაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ვეფხვია ბაძაღუა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი დავით ხაბეიშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში არსებული სტიქიის გამო, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, შექმნილია საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც ჩართულია ყველა უწყება და მაქსიმუმი კეთდება იმისთვის, რომ აღმოფხვრილი იყოს დღეის მდგომარეობით არსებული შედეგები. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც 24 საათის განმავლობაში ძალიან ბევრს შრომობს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, უახლოეს მომავალში პრობლემები მოგვარებული იქნება.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში, სტიქიის გამო, შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები, განაცხადა, რომ საკოორდინაციო საბჭო და მუნიციპალიტეტების თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სტიქიასთან გამკლავების პროცესში და დააფიქსირა მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტი ჩაერთვება მიმდინარე პროცესებში. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ევროსაბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე განვითარებულ მოვლენებზე, სადაც იმყოფებოდა გიორგი ტყემალაძესთან და ზურაბ აბაშიძესთან ერთად. მისი თქმით, განხილული იყო საქართველოს საკითხი და კონგრესის მხრიდან, ყოველგვარი ახსნა-განმარტების და არსებითი არგუმენტაციის გარეშე, იყო რეკომენდაცია, რომ გადადებულიყო მომავალი არჩევნები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა საკმაოდ მწვავე დებატები და ქართულმა მხარემ დააფიქსირა, რომ 2025 წლის არჩევნები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და მსგავსი მოთხოვნის ან რეკომენდაციის წამოყენება არის, როგორც კონსტიტუციის უპატივცემულობა, ასევე, ჩვენი სუვერენიტეტის არსებითად ხელყოფა. ამასთანავე, საუბარი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რასთან დაკავშირებითაც მათ აქვთ ბევრი არასწორი ინფორმაცია, თუმცა, ქართული მხარე მაქსიმალურად ეცადა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა მათთვის, რის შედეგადაც, თავდაპირველი რადიკალური რიტორიკა შეიცვალა და უფრო მომრიგებლური და კონსენსუალური განწყობით დასრულდა საუბარი. აქედან გამომდინარე, იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ურთიერთობები აგებული იქნება უფრო მეტი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, ვიხილავთ გაცილებით უფრო კონსტრუქციულ დიალოგს და ჩვენი ურთიერთობები უფრო დათბება.

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა დასავლეთ საქართველოში არსებულ სტიქიაზე, აღნიშნა, რომ საქართველოში ასეთი უხვი ნალექი ალბათ 40 წელზე მეტია არ ყოფილა, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ღირსეულად ვუპასუხოთ ამ გამოწვევებს და წარმატებები უსურვა ყველა იმ ადამიანს, ვინც უშუალოდ ჩართულია ამ პროცესში. ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა ევროსაბჭოს კონგრესზე ვიზიტზე და აღნიშნა, რომ მანამ, სანამ საქართველოს წარმომადგენლობა კომიტეტის მუშაობაში მიიღებდა მონაწილეობას, კონგრესის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტების თაოსნობით, თბილისში ჩამოსული იყო დელეგაცია, რომელთან შეხვედრისას ქართულმა მხარემ დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, რა დროსაც, მათი მხრიდან, რეკომენდაციის სახით, გაკეთდა ძალიან ტენდენციური და მიკერძოებული განცხადება, რომ თითქოს უნდა გადაიდოს არჩევნები, რადგან ოპოზიცია არ არის მზად და ამასთანავე, საარჩევნო კოდექსით გაუარესდა ოპოზიციის უფლებები. აქედან გამომდინარე, განაცხადა: „ჩვენი პოზიცია არის ძალიან ცალსახა და მარტივი - ჩვენ ვდგავართ ჩვენს სიმართლეზე და მიგვაჩნია, რასაც ვაკეთებთ არის სწორი ქვეყნის განვითარების და სუვერენიტეტის განსამტკიცებლად. ასე რომ, ის რეკომენდაციები, რომლებიც იქნება მისაღები, ჩვენ აუცილებლად მივიღებთ, მაგრამ არა იმას, რომელიც სცდება ჩვენს სახელმწიფოებრიობას და კონსტიტუციურ ჩარჩოებს. ეს იყო ჩვენი მკვეთრი პოზიცია. ასე გაგრძელდება მომავალშიც“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვეფხვია ბამაღლა

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან მამალაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე

11. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N46-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

13. „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გურამ რჩელიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3028 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5636 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

16. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კათალიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩა N17, N17ა, N19, N21, N23, N25, N21ა, N23ა; ქალაქი თბილისი, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.200.009, ფართობი - 2800 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი



თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245, ფართობი - 5496 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლისზე, ხოდაბუნების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.538; N72.16.17.752; N72.16.17.876; N72.16.21.691; N72.16.21.100; N72.16.17.877; N72.16.21.101; N72.16.21.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N2ა; N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.009.082; N01.19.19.009.018) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.576; N01.72.16.104.015-

ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

26. „ქალაქ თბილისში, ალ. წულუკიძის ქ.N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (საყოფაცხოვრებო კომერციული ფართით) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 15 მაისის N1050 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

27. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონში; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.190; N01.14.01.001.116; N01.14.01.001.383; N01.14.01.001.403) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N135 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

28. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე „მშრალი პორტი“-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N629 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.20.135; N01.72.16.104.015-ის ნაწილი) სააგარაკე-დასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ბესიკის ქუჩა N9-ში არსებული 66.51 კვ.მ.ფართის (მათ შორის 3.5 კვ.მ. ბაქანი) (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.056.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

32. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 44.98 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1071) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

33. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.161.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

34. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

35. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3-ის, მე-4 მიკრორაიონის N425ა-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.027.04.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

36. „ქალაქ თბილისში, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.015.058) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა N26-ში არსებული 1457 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.126) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

38. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

39. „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.544) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

40. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

41. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.018) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ.თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N61, ბლოკი C3, სართული 8, ბინა N165, ს/კ. N01.14.06.004.004.03.01.165) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-მანანა მაჭავარიანის (პ/ნ. 01018003382) უფლებამონაცვლეებისთვის

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

43. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1-13-ის მიმდებარედ არსებული 1810 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.005.084) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ქეთევან გოროზიასთვის (პ/ნ. 01024009616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

44. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნათია კვარაცხელიასთვის (პ/ნ. 01031004179) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

45. „ქ.თბილისში, გამრეკელის ქუჩა N9-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.046) პირდაპირი განკარგვის წესით, დავით აბაშიძისთვის (პ/ნ. 01010014918) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

46. „ქ.თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანასთვის“ (ს/კ. 405252471) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

47. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ბიგბენისთვის“ (ს/ნ. 405514180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

48. „ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიოსისთვის“ (ს/ნ. 405150447) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

49. „ქალაქ თბილისში, ერისთავ-ხომტარია ქ. N2-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.037.050) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხომტარია 2“-ისთვის (ს/ნ. 404589147) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

50. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nგ-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად,



ქ.თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ. N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

51. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის 6 თვის (01.07.2024-01.31.2024) მუშაობის ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

52. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში (2024 წლის 28 იანვრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით)“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით ხაბეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ დავით ხაბეიშვილი არის გამოცდილი კადრი, მათ შორის, გამგეობაში გაწეული საქმიანობით და დარწმუნებულია, რომ ის კიდევ უფრო წარმატებული იქნება ახალ თანამდებობაზე.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ დავით ხაბეიშვილი უკვე წელიწადზე მეტია მუშაობს საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ძალიან კარგად იცნობს ისნის რაიონს. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ის თავს გაართმევს დაკისრებულ მოვალეობებს, იქნება ერთ-ერთი საუკეთესო გამგებელი და წარმატებები უსურვა მას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტი იზრდება 2685000 ლარით, კერძოდ, 2085000 ლარი არის გარდამავალი ნაშთის ხარჯზე, ხოლო 600000 ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი, რომელიც ფინანსთა სამინისტროსგან მიიღო

მუნიციპალიტეტმა, პერსონალური ასისტენტის სიტემის დასანერგად. გარდამავალი ნაშთის სახით დამატებული თანხა გადანაწილებულია კრწანისის რაიონში, გაზის აფეთქების შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენისთვის, ას წელს მიღწეული მოქალაქეებისთვის ერთჯერადად გასაცემი დახმარებისთვის და კ2 კოეფიციენტის ფარგლებში მიღებული, უსახლკაროებისთვის გადასაცემი ფართების რემონტისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, გამგებელი უფლებამოსილი იქნება, ინდივიდუალური აქტით განსაზღვროს საკურატორო სფეროები მოადგილეებს შორის, რაც უფრო გააადვილებს მათ მოქმედებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია რამდენიმე პირველი რანგის სტრუქტურული ერთეულის შერწყმა და ერთმანეთისგან გამოყოფა იმის მიხედვით, თუ რა შინაარსის დავალებას ასრულებენ. მისი თქმით, ცვლილებები არ იწვევს შტატების მატებას, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას და მორგებულია მხოლოდ სპეციფიკურ სამუშაო მიმართულებაზე. აქვე აღნიშნა, რომ საშტატო რიცხოვნობა, საერთო ჯამში, მცირდება 17 ერთეულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ და განმარტა, რომ

წარმოდგენილი ცვლილება ეხება მხოლოდ მთაწმინდის რაიონის გამგეობას, სადაც, გამგებლის მოთხოვნით, განყოფილების დატვირთვიდან გამომდინარე, მცირდება ორი საშტატო ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ერთმანეთისგან გაიმიჯნება სანებართვო და მონიტორინგის განყოფილებები და გადანაწილება სხვადასხვა მოადგილეების საკურატოროში. ამასთანავე, სატყეო კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ 2030 წლამდე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, სატყეო მიმართულებით განახორციელოს კვლევები და მონიტორინგი, დებულებაში ჩაიწერა, რომ აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობა დაევალა გარემოს დაცვის სამსახურს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ვეფხვია ბაძაღუამ და განმარტა, რომ მოთხოვნიდან გამომდინარე, დამატებული გარკვეული მომსახურებები და არსებული 331-ის ნაცვლად, გახდა 341 მომსახურება. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთი მომსახურების საბაზრო ღირებულება გასცდა დადგენილ საფასურს, წარმოდგენილია ამ მომსახურებების საფასურის საბაზრო ღირებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან მამალაძემ და განმარტა, რომ სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, წარმოდგენილია არსებულ ორ დეპარტამენტში ოთხი განყოფილების გამოყოფა. კერძოდ, ცხოველთა კონტროლის და რეგულირების დეპარტამენტს ემატება ცხოველთა პოპულაციის მართვის განყოფილება, ხოლო ადმინისტრაციულ დეპარტამენტში გამოიყოფა სამი განყოფილება: საფინანსო-მატერიალური განყოფილება, საორგანიზაციო განყოფილება და იურიდიული განყოფილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წესში წარმოდგენილია პროგრამის მიზანი, ტერმინთა განმარტება, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და პროგრამიდან ამორიცხვის მექანიზმები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ და განმარტა, რომ სამსახურის ოპტიმიზაციის მიზნით, წარმოდგენილია საინვესტიციო და ტურიზმის განყოფილებების გაერთიანება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N46-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ სააგენტოს დებულებაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ, სამართლებრივად სწორდება რამდენიმე ჩანაწერი და ტერმინი.



საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც, სააგენტოს დებულებაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს რამდენიმე ჩანაწერის და ტერმინის სამართლებრივ გასწორებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ გრანტის ოდენობა არის 500000 ევრო, რომელიც მიმართული იქნება მეტროს თორმეტი სადგურის მოდერნიზაციის პროექტის კონსულტანტების ხარჯების დასაფარად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3028 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების, რაც გულისხმობს ხუთი სართულის მატებას და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან

გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს დაახლოებით 3000000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

